პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 12 (9480) | ხუთშაბათი, 15 იანვარი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის პირველი კანდიდატები

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება ახალ სტადიაში შევიდა. გუშინ ჩვენს რესპუბლიკაში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით დაიწყო მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების დეპუტატების კანდიდატთა დასახელება. ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, რკინიგზაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, საბჭოთა დაწესებულებებსა და სასწავლებლებში გამართულ ხალხმრავალ კრებებზე მშრომელები საოლქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ასახელებენ საბჭოთა ქვეყნის სახელოვან შვილებს, ლენინ-სტალინის დიადი საქმის ერთგულ ადამიანებს, იმათ, რომელთაც თავანთი შრომითა და მოღვაწეობით მთელი ხალხის ნდობა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს.

თბილისისა და ქუთაისის ოლქების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა საოლქო საბჭოების დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებითა და სიყვარულის გრძნობით დასახელეს ყველა ჩვენი გამარჯვების - სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, კომუნიზმის გენიალური ხელოვნებისა და ბრძენი მასწავლებელი, მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი.

ჩვენი ქვეყნის ადამიანებისათვის არ არის იმაზე უფრო ძვირფასი სახელი, ვიდრე სტალინის სახელია.

— სტალინი ჩვენი ბედნიერი ცხოვრების შემოქმედია.

— სტალინი ჩვენი გამარჯვების დროშაა. სადაც სტალინია, იქ მუდამ გამარჯვებაა!

— სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენ ავაშენეთ სოციალიზმი, მისივე წინამძღოლობით ავაშენებთ კომუნიზმს.

ასე, უდიდესი სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით, ლაპარაკობენ კრებებზე მშრომელები.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების საერთო კრებაზე სტახანოველმა ზეინკლმა პ. ბედენაშვილმა განაცხადა:

— უსაზღვროა თვითეული ჩვენგანის სიხარული. უდიდესი სიამაყის გრძნობით გვავსებს იმის შეგნება, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივი თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატის თავის კანდიდატად ასახელებს ამხანაგ სტალინს.

დიდი სტალინი საოლქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად აღფრთოვანებით დაასახელეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-ლექტორებმა და სტუდენტებმა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის, ქალაქ სტალინირის მექანიკური ქარხნისა და საქართველოს მთელ რიგ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, — მთელმა ქართველმა ხალხმა.

მშრომელები საოლქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად ასახელებენ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვს.

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის კანდიდატურა ერთსულოვნად წამოაყენეს თბილისისა და ქუთაისის ოლქების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმო-დაწესებულებათა და სასწავლებელთა მუშა-მოსამსახურეებმა და მოსწავლეებმა.

მთელი საქართველოს მშრომელებმა დეპუტატობის თავიანთ კანდიდატად დიდი სიყვარულისა და სიამაყის გრძნობით დაასახელეს ლენინის მოწაფე, სტალინის თანამებრძოლი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

ამხანაგი ლ. პ. ბერია საოლქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენეს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა, თბილისისა და ქუთაისის ოლქის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა მრავალრიცხოვანმა კრებებმა.

საქართველოს მშრომელები საოლქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად ასახელებენ საქართველოს კომუნისტური პარტიის მებრძოლ ხელმძღვანელს, ერთგულ სტალინელს ამხანაგ აკაკი ივანეს-ძე მგელაძეს, რომლის უშუალო მეთაურობით საქართველოს კომპარტია დიდ მუშაობას ეწევა ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების გამოსასწორებლად, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის.

თბილისისა და ქუთაისის ოლქების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად მშრომელები ასახელებენ მოწინავე საბჭოთა ადამიანებს — ფაბრიკა-ქარხნებისა და საკოლმეურნეო მინდვრების სტახანოველებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია 26 კომისრის სახელობის ქარხნის სტახანოველი მღებავი ნინო გვენცაძე, გორის ბამბეულის კომბინატის სტახანოველი მეფთილე მერი მაზიაშვილი, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის ბევრი ნოვატორი, ინტელიგენტური შრომის მოწინავე ადამიანები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება მიმდინარეობს კომუნისტებისა და უპარტიოთა ერთსულოვნების ვითარებაში. მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები გამოხატავენ საბჭოთა დემოკრატიის ძალასა და ცხოველმყოფელობას, ცხადყოფენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა უსაზღვრო ერთგულებასა და სიყვარულს ლენინ — სტალინის დიდი საქმისადმი, დიდი სტალინისადმი.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

გუშინ ბელადის სახელობის ქარხანაში დიდი სიხარულისა და ზეიმის დღე იყო.

საღამოსასწაულოდ არის მორთული ქარხნის ყველაზე დიდი საამქრო — ორთქლმავალთა ამწყობი საამქრო. ტრიბუნის ზემოთ მოჩანს ყველა ჩვენი გამარჯვების შემოქმედის მშობლიური სტალინის დიდი პორტრეტი. ალისფერ ქსოვილებზე წარწერილია მოწოდებათა მგზნებარე სიტყვები: „დიდება დიდ სტალინს!“ „გაუმარჯოს ლენინ — სტალინის ბრძნულ პარტიას, კომუნიზმის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!“, „გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევ სტალინურ ბლოკს!“, „ძმური სალამი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხს!“.

საღამოს 5 საათია. დამთავრდა თავდადებული შრომით აღსავსე დღე. ამწყობ საამქროში ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა.

ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებას ხსნის ქარხნის უფროსი ამხ. დ. მამაცაშვილი. ერთხმად ირჩევენ საქმიან პრეზიდიუმს.

ტრიბუნაზეა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ნინოშვილი. იგი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს ხალხთა საყვარელ მამასა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს და ამით მთელი ქარხნის კოლექტივის მხურვალე სურვილსა და გულისთქმას გამოხატავს. დიდხანს ქუხს ერთსულოვანი ტაში, გაისმის მგზნებარე შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

ამხ. ვ. ნინოშვილის სიტყვა

დღევანდელი დღე ჩვენი ქარხნის კოლექტივისათვის განსაკუთრებული სიხარულისა და ზეიმის დღეა. ჩვენ აქ შევიკრიბეთ, რათა დავასახელოთ დეპუტატობის ჩვენი კანდიდატი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს შემადგენლობაში.

მომავალ არჩევნებს ჩვენი ხალხი ეგებება სოციალისტური მშენებლობის საქმეში მოპოვებული მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით. წარსული არჩევნებიდან განვლილ პერიოდში უმაგალითოდ ამაღლდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე, კოლოსალურად გაიზარდა საერთაშორისო ავტორიტეტი საბჭოთა კავშირისა, რომელიც სათავეში უდგას მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ დემოკრატიულ ბანაკს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებითა და ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი ახალ გამარჯვებებს აღწევს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის უდიდესი ბედნიერებაა ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოსა და ჩვენი პარტიის სათავეში დგას ამხანაგი სტალინი, რომლის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა წარმოადგენს მუშათა კლასისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საქმისათვის თავდადებული სამსახურის მაგალითს.

ქართველმა ხალხმა კარგად იცის, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მეოხებით, კომუნისტური პარტიისა და პირადად დიდი სტალინის მზრუნველობის მეოხებით საქართველო მეფის რუსეთის უუფლებო კოლონიიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად.

განსაკუთრებით ბედნიერი ვართ ჩვენ, რომ აქ, ჩვენი ქარხნის კედლებში, ნახევარი საუკუნის წინათ, რევოლუციის გარიჟრაჟზე, დიდი სტალინმის მიერ შექმნილ მარქსისტულ წრეებში მუშებს ასწავლიდა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების დიად ხელოვნებას.

სტალინი ჩვენი-სიამაყე და ბედნიერებაა. სტალინის სახელი მოგვიწოდებს ახალი საგმირო საქმეებისაკენ საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად.

მე ვფიქრობ, რომ გამოვხატავ ჩვენი კოლექტივის ერთსულოვან სურვილს, თუ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად დავასახელებ ჩვენს დიდ ბელადსა და მასწავლებელს, მხურვალედ საყვარელ ამხანაგ სტალინს.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ — სტალინის დიად პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

დიდება დიდ სტალინს! **(მჭუხარე ტაში და შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

სტახანოველი მექვაბის ამხ. ი. მაჩაიძის სიტყვა

ჩვენი ქარხნის კოლექტივი, რომელიც სიამაყით ატარებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელს, თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ასახელებს მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადს, მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი განუყოფელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის სახელთან. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყანა ძლევამოსილად მიემართება წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ, აგებს კომუნიზმის დიად გიგანტებს, თანდათან აფართოებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ამიტომ არის, რომ თვითეულ ჩვენგანს, ყველა პატიოსან ადამიანს ასე გულმხურვალედ უყვარს ამხანაგი სტალინი. ამიტომ არის, რომ ყოველი ჩვენგანის ფიქრები და გრძნობები მუდამ მიპყრობილია ამხანაგ სტალინისაკენ, ადამიანისაკენ, რომელიც მუდამ წინ მიგვიძღვის, რომელსაც ყოველთვის გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მივყავართ.

მშრომელთა კეთილდღეობისათვის სტალინური ზრუნვა ჩვენი რაიონის მაგალითითაც ჩანს. ყველას ახსოვს ძველი ნაძალადევი თავისი ქოხმახებით, ვიწრო, ბინძური ქუჩებით. ახლა ვერავინ იცნობს მას. რაიონი, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, ერთ-ერთი კეთილმოწყობილი რაიონია თბილისში. ყოველივე ამას ჩვენ საყვარელ მშობლიურ სტალინს ვუმადლით.

ამიტომ არის, რომ თვითეული ჩვენგანი მხურვალედ, აღფრთოვანებით დაუჭერს მხარს ამხანაგ სტალინის დასახელებას თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამ სასიხარულო მოვლენის საპასუხოდ ვდგები სტახანოვურ ვახტზე და პირობას ვიძლევი, რომ ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 200 პროცენტით შევასრულებ.

სტახანოველი ზეინკლის ამხ. პ. ბედენაშვილის სიტყვა

უსაზღვროა თვითეული ჩვენგანის სიხარული. უდიდესი სიამაყის გრძნობით გვავსებს იმის შეგნება, რომ ჩვენი ქარხნის კოლექტივი თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის თავის კანდიდატად ასახელებს ამხანაგ სტალინს.

დიდმა სტალინმა ლენინთან ერთად შექმნა და გამოაწრთო დიადი და უძლეველი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია. დიდმა სტალინმა დიდ ლენინთან ერთად დააარსა ძლევამოსილი საბჭოთა სახელმწიფო. დიდი სტალინის გენიამ ააყვავა და გაფურჩქნა ჩვენი საყვარელი სამშობლო. დიდი სტალინის გენიამ გააცამტვერა ხალხის მტრები, დაამსხვრია ჰიტლერული სამხედრო მანქანა. დიდი სტალინის გენით აღფრთოვანებულმა და შთაგონებულმა საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში ააშენა სოციალიზმი და ამჟამად ძლევამოსილად, მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობის დიდ მედროშეს მშობლიურ სტალინს! **(ხანგრძლივი ტაში).**

ბ. ბედენაშვილის სიტყვა

სტალინი ყველაზე ძვირფასი და საყვარელი სახელია მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის.

სტალინი ჩვენი გამარჯვების სიმბოლოა. მისი სახელი დროშად მიუძღვის წინ მშვიდობისათვის, კეთილი და ბედნიერი მომავლისათვის მებრძოლ ადამიანებს მთელ მსოფლიოში.

სტალინის ყველა ნაშრომი, მისი ახალი კლასიკური ნაწარმოები „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ახალ ძალებს მატებს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს დიდი სტალინი ჩვენი ქვეყნის ხალხთა სადიდებლად, მთელი პროგრესული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ამ საზეიმო ვითარებაში პირობას ვდებ ძალების დაუზოგავად ვიმუშაო, დავდგე სტახანოვურ ვახტზე და ყოველდღიური დავალება 250-300 პროცენტით შევასრულო.

ინჟინერ ამხ. ა. ჩალიძის სიტყვა

ამხანაგებო! დღეს ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ სტალინური კონსტიტუციით მონიჭებულ დიად უფლებათა საფუძველზე დეპუტატობის ჩვენს პირველ კანდიდატად დავასახელოთ ხალხთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი.

ამხანაგ სტალინის სახელით მთელი მსოფლიოს ხალხები იბრძვიან მშვიდობისათვის. ამ მძლავრი მოძრაობის სათავეში დგას ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო გააძლიერებს რევოლუციურ სიფხიზლეს, ფხიზლად ადევნებს თვალყურს მტრის ოინებს. მთელ ჩვენს ძალებს მოვახმართ კომუნიზმის დიად მშენებლობებს, ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმის განხორციელებას, საბჭოთა სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ჩვენ, საბჭოთა ქალები, აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ჩვენ არ დავზოგავთ ძალებსა და ენერგიას იმისათვის, რომ მომავალშიც წარმატებით შევასრულოთ პარტიის XIX ყრილობის მიერ, ამხანაგ სტალინის მიერ დასახული დიადი ამოცანები.

სულით და გულით ვუჭერ მხარს წინადადებას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ.

მრავალ წელს ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დიდი მედროშე, მშობლიური და საყვარელი ამხანაგი სტალინი! **(მჭუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა).**

* * *

საამქროს უფროსმა ამხ. გ. წულაძემ, ოსტატმა ა. ტიურინმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი წინადადებას თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ.

საერთო კრება ერთხმად იღებს დადგენილებას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ სტალინის დასახელების შესახებ და სთხოვს მას თანხმობას დეპუტატობაზე კენჭი იყაროს ქ. თბილისის ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე დასასწრებად ქარხნის კოლექტივმა აირჩია 85 წარმომადგენელი.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი დეპეშა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

დადგენილება

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებისა

განიხილა რა ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელების საკითხი, საერთო კრება ადგენს:

1. ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან დასახელებულ იქნას საბჭოთა ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ამხანაგი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

2. ეთხოვოს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს დათანხმდეს კენჭი იყაროს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ლენინის № 8 საარჩევნო ოლქში სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

ფოტო ვ. გინზბურგისა და გ. კვირკველიასი.

საქართველოს მშრომელები უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში დიდი ერთსულოვნებით ასახელებენ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს

გორის მშრომელებმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს

იოსებ ბესარიონის-ძე **ს ტ ა ლ ი ნ ი**

გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მ ა ლ ე ნ კ ო ვ ი**

ლავრენტი პავლეს-ძე **ბ ე რ ი ა**

აკაკი ივანეს-ძე **მ გ ე ლ ა ძ ე**

მერი ვასილის ასული **მ ა ზ ი ა შ ვ ი ლ ი**

დავით ზაქარიას-ძე **რ ო მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი**

გორი. („კომუნისტის“ კორ.). საზეიმოდ მორთულ გორის ბამბეულის კომბინატას საქსოვ საამქროში შეიკრიბნენ გორელი ფეიქრები, რათა წამოაყენონ თავიანთი კანდიდატები თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოში.

საერთო კრების გახსნის შემდეგ სიტყვა აიღო კომბინატის საქსოვი ფაბრიკის გამგემ ამხ. ციბოევმა.

— ჩვენ შევიკრიბეთ აქ იმისათვის, — ამბობს ის, — რომ სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე განვახორციელოთ ჩვენი საპატიო უფლება — წამოვაყენოთ დეპუტატობის კანდიდატი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოში. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივის სახელით წინადადება შემომაქვს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ პარტიისა და ხალხის ბელადი, მშვიდობის დიდი მედროშე მშობლიური იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი!

სტალინი მშვიდობაა! სტალინი ჩვენი ბედნიერებაა! სტალინი ჩვენი ნათელი მომავალია! დიდი ბედნიერებაა ცხოვრობდე და მუშაობდე დიად სტალინურ ეპოქაში. სახეს იცვლიან ჩვენი ქალაქები და სოფლები. დღითიდღე უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. სახეს იცვლის ისტორიული დიდების ქალაქი გორი. იქ, სადაც ახლა ჩვენი კომბინატის კორპუსებია აღმართული, ტრიალი მინდორი იყო. საბჭოთა ადამიანის ნებით აქ აგებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის სიამაყე — ბამბეულის კომბინატი. ყოველივე ამას ჩვენ ვუმადლით საბჭოთა მთავრობას, კომუნისტურ პარტიას, დიდ სტალინს!

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მშობლიურ ამხანაგ ი. ბ. სტალინს! — ამთავრებს თავის სიტყვას ორატორი შეკრებილთა მქუხარე ტაშის გრიალში.

სიტყვას იღებს კომბინატის პროფორგანიზაციის თავმჯდომარე ამხ. შ. გოდერძიშვილი.

— სულითა და გულით მივესალმები, — ამბობს იგი, — ამხანაგ სტალინის დასახელებას თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და მოვუწოდებ მთელ კოლექტივს ერთსულოვნად დაუჭიროს მხარი ამ წინადადებას.

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დასახელების შესახებ.

სიტყვით გამოსულმა სართავი ფაბრიკის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. ანანოვმა წინადადება შეიტანა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

ამხ. ანანოვის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ინჟინერებმა ვ. სორდიამ და ო. გოცირიძემ.

ამავე კრებამ თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ბამბეულის კომბინატის სართავი ფაბრიკის სტახანოველი მეფთილე მერი ვასილის ასული მაზიაშვილი.

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელეს დიდი ბელადი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი და მისი სახელოვანი თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.

გაიმართა გორის საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელმაც თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა ამხანაგი ი. ბ. სტალინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე, აგრეთვე პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი დავით ზაქარიას-ძე რომელაშვილი.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა

გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მ ა ლ ე ნ კ ო ვ ი**

კონსტანტინე დიმიტრის-ძე **ბ უ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი**

ნინო ვასილის ასული **გ ვ ე ნ ცა ძ ე**

დიდი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით აღინიშნება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების დღეები თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში. გუშინ ქარხნის საზეიმოდ მორთულ კლუბში შედგა მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრება. კრება გახსნა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ი. მინდიაშვილმა.

დამსწრეებმა უდიდესი ერთსულოვნებით, მქუხარე ტაშით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

სიტყვას იღებს ქარხნის დირექტორი ამხ. გ. ძიძიგური.

ორატორი ლაპარაკობს იმ მძლავრ შემოქმედებითს აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის სიტყვამ ყრილობის დასკვნითს სხდომაზე.

პარტიის XIX ყრილობის მასალებით, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიალური შრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შეიარაღებული საბჭოთა ხალხი ლენინ — სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძვის მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მტკიცედ მიდის წინ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

— ადგილობრივი საბჭოების არჩევნების კამპანია, — ამბობს ამხ. ძიძიგური, — ახალ ფაზაში შედის. დღეს იწყება თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. როგორც წინა არჩევნების დროს, ახლაც საბჭოთა ადამიანები ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში დაასახელებენ ლენინ — სტალინის პარტიის, საბჭოთა სამშობლოს უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ფრონტის მოწინავე მუშაკებს.

ამხ. ძიძიგურს წინადადება შემოაქვს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენინის რაიონის მალენკოვის № 9 საარჩევნო ოლქში ქარხნის კოლექტივისაგან წამოყენებულ იქნას დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.

— საბჭოთა ადამიანები, — ამბობს ამხ. ძიძიგური, — იცნობენ ამხანაგ მალენკოვს, როგორც ლენინ — სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის დაუღალავ მებრძოლს, დიდი სტალინის გამოჩენილ თანამოსაგრეს. მთელ თავის მჩქეფარე ენერგიას, მთელ თავგზს მდიდარ გამოცდილებასა და ორგანიზატორულ ნიჭს ამხ. მალენკოვი ახმარს ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას. ამხ. გ. მალენკოვმა საბჭოთა ხალხის ღრმა პატივისცემა და დიდი სიყვარული დაიმსახურა. მე სიხარულით ვასახელებ მას თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ტრიბუნაზეა სარემონტო საამქროს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ს. ჭოხონელიძე.

— პარტიის XIX ყრილობის სხვა დოკუმენტებთან ერთად, — განაცხადა მან, — ჩვენ გულდასმით ვსწავლობთ ამხ. გ. მალენკოვის საანგარიშო მოხსენებას, რომელშიც შეჯამებულია საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული გრანდიოზული წარმატებები და დასახულია ახალი დიდი ამოცანები კომუნიზმის მშენებლობაში შემდგომი მიღწევების მოსაპოვებლად.

ამხ. ს. ჭოხონელიძე მხურვალედ უჭერს მხარს ამხ. ძიძიგურის წინადადებას. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით იგი კისრულობს სამმაგად გაანაღდოს ყოველდღიური დავალება. ამხ. გ. მ. მალენკოვის კანდიდატურას მხარს უჭერს აგრეთვე მექანიკური საამქროს ოსტატი ამხ. ა. ზაკომოლდინი.

კრება დიდი აღფრთოვანებით იღებს დადგენილებას: თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. მალენკოვი; ეთხოვოს მას დათანხმდეს კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ქ. თბილისის ლენინის რაიონის მალენკოვის №9 საარჩევნო ოლქში.

ქარხნის პარტიული ბიუროს მდივნის ამხ. ო. ვადაჭკორიას წინადადებით, რომელსაც მხარი დაუჭირა ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსმა ამხ. ა. კრასინსკიმ, კრებამ გადაწყვიტა თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელოს საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. კონსტანტინე დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილი. კრებამ სთხოვა ამხ. კ. დ. ბუჯიაშვილს კენჭი იყაროს თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობაზე ქ. თბილისის ლენინის რაიონის მალენკოვის № 9 საარჩევნო ოლქში.

საერთო კრებაზე თბილისის საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად აგრეთვე წამოყენებულ იქნა ქარხნის სტახანოველი მღებავი ქალი ნინო ვასილის ასული გვენცაძე.

კრებამ აირჩია წარმომადგენლები ამომრჩეველთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირებში მონაწილეობის მისაღებად.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა

ლავრენტი პავლეს-ძე **ბ ე რ ი ა**

აკაკი ივანეს-ძე **მ გ ე ლ ა ძ ე**

საყვირის ხმამ დედაქალაქის ჩარხმშენებელი ქარხნის მუშებს სამუშაო დღის დამთავრება აუწყა. საამქროთა კორპუსებში შეწყდა რთული ლითონსაჭრელი ჩარხების ხმაური. მაღალნაყოფიერი შრომის შედეგებით კმაყოფილი მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები საქარხნო კლუბში შეგროვდნენ. მათ შორის არიან ცნობილი ამწყობი ზეინკლები არტემ ბენდიანიშვილი, ივანე ფირცხალავა, ჩქაროსანი ხარატი ივანე უკოლოვი, მოწინავე ოსტატი შ. დოლიძე, სტახანოველი ზეინკალი ს. გოგიჩაძე, ახალი მოდელის ლითონსაჭრელი ჩარხების შემქმნელი კონსტრუქტორები ლ. კულიკოვი, პ. აბესაძე და სხვები, რომლებმაც სახელი გაითქვეს თავდადებული, ნოვატორული შრომით. ისინი შრომაში მოპოვებული გამარჯვებით სამართლიანად ამაყობენ. შარშან კიროველმა ჩარხმშენებლებმა გეგმის გადამეტებით ათობით ჩარხი მისცეს სამშობლოს, აითვისეს და დაამზადეს 9 ახალი მოდელის რთული კონსტრუქციის ჩარხები, 108,3 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციისა და 104,4 პროცენტით სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა. ამ მიღწევებით მოვიდნენ აქ, საერთო კრებაზე კიროველი ჩარხმშენებლები, რათა განახორციელონ სტალინური კონსტიტუციით მინიჭებული უფლება — დაასახელონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატები.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი დიდი სტალინის მეთაურობით.

ტრიბუნაზე პირველი ავიდა ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ლ. გოგიჩაძე.

— დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ახალი გენიალური ნაშრომით „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი, — განაცხადა ამხ. გოგიჩაძემ, — წარმატებით აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

ამ ისტორიული დოკუმენტებით გამოწვეული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადებიან ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ჩვენი რესპუბლიკის, მათ შორის თბილისის ლენინის რაიონის მშრომელები.

დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა განვახორციელოთ სტალინური კონსტიტუციით მონიჭებული დიადი უფლება — დავასახელოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის ჩვენი კანდიდატები. წინადადება შემომაქვს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის № 2 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. დარწმუნებული ვარ, ამით გამოვხატავ ყველა აქ შეკრებილის სურვილს.

მეორე მექანიკური საამქროს უფროსმა ამხ. ნ. ვარდანაშვილმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხ. გოგიჩაძის წინადადებას. მან თავისი სიხარული იმით გამოხატა, რომ საამქროს სახელით ვალდებულება იკისრა იანვრისა და თებერვლის გეგმა 105 პროცენტით შეასრულოს.

— ამხანაგი ლ. პ. ბერია მშრომელი ხალხის ერთგული მოამაგე და მისი კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლია, — განაცხადა სტახანოველმა ხარატმა ამხ. ვ. კრუგლიკოვმა. — ამიტომ უდიდესი სიხარულით ვუჭერ მხარს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ბერიას დასახელებას.

სიტყვა აიღო ქარხნის დირექტორის მოადგილემ ამხ. რ. ჟღენტმა. მან თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კიროვის № 2 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე.

— საქართველოს მშრომელები, — თქვა ამხ. ჟღენტმა, — იცნობენ ამხანაგ მგელაძეს, როგორც ლენინურ-სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეს, მტკიცე ხელმძღვანელს და ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავ მებრძოლს. 1952 წლის აპრილიდან ამხ. ა. ი. მგელაძე ხელმძღვანელობს საქართველოს კომუნისტურ პარტიას. ლენინ — სტალინის პარტიისადმი, ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულებით ამხანაგმა მგელაძემ დაიმსახურა საქართველოს მშრომელების განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ის დიდი მუშაობა, რასაც ამხ. მგელაძის ხელმძღვანელობით ახორციელებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ძველი ხელმძღვანელების მიერ დაშვებული უხეში და სერიოზული შეცდომების გამოსასწორებლად, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის.

მესამე ამწყობი საამქროს ოსტატმა თ. უსანეთაშვილმა და პირველი მექანიკური საამქროს უფროსმა ა. დათეგოვმა მხარი დაუჭირეს დეპუტატობის კანდიდატად ამხანაგ ა. ი. მგელაძის დასახელებას და ილაპარაკეს საქართველოს მშრომელთა იმ დიდ სიყვარულზე, რაც ა. ი. მგელაძემ დაიმსახურა სტალინური პრინციპულობით, შეუდრეკელი ნებისყოფით, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობით და ყოველივე მოწინავისათვის მხარდაჭერით და ენერგიული დახმარებით.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კიროვის № 2 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნან დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი აკაკი ივანეს-ძე მგელაძე და სთხოვა მათ კენჭი იყაროონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების კიროვის № 2 საარჩევნო ოლქში.

კრებამ აირჩია 62 წარმომადგენელი თბილისის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს არჩევნების კიროვის № 2 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირზე წარსაგზავნად.

ი. ბ. სტალინის შრომისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიძღვნილი სამეცნიერო სესია მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტში

13 იანვარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტში გაიხსნა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოებისადმი „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის, საბჭოთა კავშირის კომპარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის ფილიალის მეცნიერი თანამშრომლები.

სესია გახსნა მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა გ. დ. ობიჩკინმა. მან თქვა:

— მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების საგანძურშია გენიალური ნაწარმოებნი, რომელთა შექმნით დაიწყო მისი განვითარების ახალი ეტაპი. ასეთ ნაწარმოებებს ეკუთვნის ამხანაგ სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომა წარმოადგენს უმაღლეს ეტაპს არა მარტო მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებაში, არამედ მთლიანად მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში, რადგან მასში პოლიტეკონომიის საკითხებს გარდა კონკრეტულად ჩამოყალიბებული და განვითარებულია ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის ძირეული საკითხები. ეს ნაწარმოები პარტიას, საბჭოთა ხალხს აიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების ცოდნით, გვიჩვენებს საზოგადოების სასარგებლოდ ამ კანონების გამოყენების საშუალებებს, გვიჩვენებს და გვიშუქებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გზებს. ამხანაგ სტალინის გენიალურ ნაშრომს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ახლა გულმოდგინედ სწავლობენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ამ ნაშრომის და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლა განუზომლად ამაღლებს ჩვენი პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონეს.

მოხსენება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის და ამხანაგ სტალინის კლასიკური შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ისტორიული მნიშვნელობა“ სესიაზე გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ნ. ნ. პოსპელოვმა.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებანი: მარქს — ენგელს — ლენინის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ა. ვ. ტუშუნოვისა — „ამხანაგი სტალინი თანამედროვე კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ძირითად ეკონომიკურ კანონთა შესახებ“ და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ი. შატაგინისა — „ამხანაგი სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის სამი ძირითადი წინაპირობის შესახებ“. (საკდესი).

ი. ბ. სტალინის შრომისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

ბათუმის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საქტო დარბაზში შედგა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომისადმი — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

სესიის პირველ სხდომაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ისტორიული მნიშვნელობა“ (დოცენტი ს. ქუთათელაძე); „ი. ბ. სტალინის მოძღვრება მეცნიერების კანონების ობიექტურობის შესახებ“ (უფროსი მასწავლებელი დ. კილაძე); „ი. ბ. სტალინის მოძღვრება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის შესახებ“ (ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ბაბილოძე); „ი. ბ. სტალინი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის წინაპირობების შესახებ“ (ასისტენტი მ. კალანდაძე).

მეორე სხდომაზე სესიამ მოისმინა მოხსენებები: „ი. ბ. სტალინი საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონის შესახებ“ (დოცენტი მ. სტამბოლოშვილი); „ი. ბ. სტალინი კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების შესახებ“ (უფროსი მასწავლებელი პ. პატარაია); „ი. ბ. სტალინის მიერ მარქსისტულ-ლენინური შემეცნების თეორიის შემდგომი განვითარება შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ (უფროსი მასწავლებელი კ. ბოლქვაძე); „ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მნიშვნელობა გეოგრაფიის სწავლებაში (დოცენტი ნ. ჯიბუტი); „ი. ბ. სტალინი ორი სისტემის ურთიერთობისა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ომების გარდუვალობის შესახებ“ (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ართილაყვა).

დ. კაიხაძე.

ვემზადოთ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დასადებად

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, ტრანსპორტზე, ახალმშენებლობებზე, კავშირგაბმულობის სისტემაში, საბჭოთა მეურნეობებსა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში დაწყებულია მზადება 1953 წლის — მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად. ეს ფრიად მნიშვნელოვანი კამპანია წელს ჩვენში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ტარდება. ეს აღმავლობა გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ გამოქვეყნებით, რაც საბჭოთა ადამიანებს დიად პერსპექტივებს უსახავს ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობისათვის.

სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კოლექტიური ხელშეკრულებები, რაც ყოველწლიურად იდება საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობასა და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის. კოლექტიური ხელშეკრულებები მოიცავენ საწარმოთა მუშაობის ყველა ძირითად მხარეს, ისინი გამოხატავენ მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მოსამსახურეების ურყევ მისწრაფებას წინსვლისაკენ, ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებისაკენ, სოციალისტური წარმოების ყოველმხრივი განვითარებისაკენ. ამავე დროს კოლექტიური ხელშეკრულებები ასახავენ საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიურ ზრუნვას მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

ორმხრივ ვალდებულებაში, რასაც კოლექტიური ხელშეკრულებით კისრულობენ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელობა და პროფესიული ორგანიზაცია, ორგანულად არის შეხამებული სოციალისტური საწარმოს ინტერესები თვითეული მუშისა და მოსამსახურის ინტერესებთან. ჩვენი ქვეყნის თვითეული მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე უშუალოდ არის დაინტერესებული საწარმოო წარმატებებით: მან კარგად იცის, რომ მის მიერ გაწეული შრომა, მის მიერ დამზადებული პროდუქცია კიდევ უფრო განამტკიცებს კომუნიზმის მშენებელი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას, მის თავდაცვისუნარიანობას და ამავე დროს შემდგომ აამაღლებს საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობას.

გასულ სამეურნეო წელს კოლექტიურმა ხელშეკრულებებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე მეხუთე სტალინური ხუთწლედით დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ, რკინიგზის ტრანსპორტმა, მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა ვადამდე შეასრულეს სახალხო-სამეურნეო გეგმები. გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლებით შესრულებასთან ერთად თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობის, ჩარხებისა და მანქანების გამოყენების გადიდების საქმეში.

ამავე დროს, როგორც სამეურნეო, ისე პროფესიულმა ორგანიზაციებმა, პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით, საგრძნობი ღონისძიებები განახორციელეს მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების, მატერიალურ-საყოფაცხოვრებო, კულტურული და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გასული წლის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ასობით საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა, ათასობით მუშამ, ინჟინერ-ტექნიკოსმა და მოსამსახურემ მიიღო კეთილმოწყობილი ბინა. საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელთა სამედიცინო მომსახურება, მრავალმა მუშამ და მოსამსახურემ დაისვენა და იმკურნალა ჩვენი ქვეყნის კურორტებზე, შემდგომ გრძელდებოდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, ხორცეულდებოდა უსაშიშრობის დაცვის ღონისძიებანი.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ბევრ სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებს არსებითი ნაკლოვანებანი აქვთ გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებებით ნაკისრ ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების საქმეში. მთელ რიგ საწარმოებში და მშენებლობებზე პროფესიული ორგანიზაციები ცუდად ახორციელებდნენ სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობას, სათანადო პირობებს ვერ უქმნიდნენ შრომის ნოვატორებს მოწინავე მეთოდების გავრცელებისათვის. ხშირი იყო მექანიზმებისა და მუშების მოცდენა, სუსტად იბრძოდნენ თვითეული მუშისათვის მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შესაქმნელად, სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად.

რესპუბლიკის ბევრმა საწარმომ და მშენებლობამ ვერ შეასრულა კოლექტიური ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებანი პროდუქციის თვითღირებულებისა და მშენებლობის ღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ზოგიერთი სამინისტრო, უწყება და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტი ნაკლებად ზრუნავდა კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა სრულად განხორციელებისათვის, საჭირო მომთხოვნელობას ვერ იჩენდა საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისადმი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით 1953 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადება სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში იანვარ-თებერვალში უნდა დამთავრდეს. ამასთან დაკავშირებით პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფესიულ ორგანიზაციებს დაავალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა გააჩაღონ ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დასადებად.

ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში მკაფიოდ უნდა აისახოს ის ამოცანები, რომლებიც ჩვენი პარტიის XIX ყრილობამ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად. კოლექტიურ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ უნდა იქნას კონკრეტული ღონისძიებანი ნოვატორული შრომის მეთოდების განზოგადებისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის, გათვალისწინებულ იქნას ჩამორჩენილთადმი დახმარება, შრომისა და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განმტკიცება, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მასობრივი მოძრაობის განვითარება, წუნით გამოწვეული დანაკარგების მაქსიმალურად შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების კულტურის ამაღლება, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობა, საწარმოო პროცესების შემდგომი რაციონალიზაციისა და წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლება და მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი.

ამავე დროს საბჭოთა ადამიანზე ზრუნვა, მისი მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამკურნალო დაწესებულებების ქსელის გაფართოება, საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულება ფართოდ უნდა აისახოს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

1953 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანიაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადებისათვის მზადების პერიოდში მასობრივად უნდა შემოწმდეს გასული წლის კოლექტიური ხელშეკრულებების შესრულება, წინასწარ შეგროვდეს წინადადებები ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებში შესატანად.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანიაში პროფესიულ და სამეურნეო ორგანიზაციებს ყოველდღიური ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. სამინისტროებმა და უწყებებმა დროზე უნდა დააზუსტონ ცალკეულ საწარმოთა და მშენებლობათა გეგმები და დაიყვანონ ისინი თვითეულ საწარმომდე, აქტიურად დაეხმარონ საწარმოთა ხელმძღვანელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა განხორციელებაში. პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებმ მოვალენი არიან კონკრეტულად უხელმძღვანელონ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებაში, გასული წლის ხელშეკრულებების შესრულების შემოწმებაში.

1953 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანიის წარმატებით ჩატარება დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში. ამ მიმართულებით სერიოზულად უნდა წარმართონ ახლა თავიანთი საქმიანობა პროფესიულმა ორგანიზაციებმა და საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები დიდ დამზარებას უწევენ კომუნიზმის დიად მშენებლობებს. ინსტიტუტის ბეტონის ლაბორატორიაში დადგენილია თურქმენეთის მთავარ არხზე და სამხრეთ ყირიმის არხზე გამოსაყენებელი ბეტონის ხსნარების შემადგენლობა. სურათზე: თბილისის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზ. წილოსანი სწავლობს თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის განკუთვნილი საშენი მასალის გამძლეობას.

ფოტო გ. კვირკველიასი.

ქართული მანქანები კომუნიზმის დიად მშენებლობებს

ფოთი. (საკ. კორ.). მიწისმწოვი მანქანების მშენებელი ქარხნის კოლექტივი სრული დატვირთვით მუშაობს, რათა დროულად შეასრულოს საპატიო შეკვეთა — გაუგზავნოს თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს ქართული მარკის მიწისმწოვები.

ქარხნის მთავარი ინჟინრის, სტალინური პრემიის ლაურეატის გ. ცხადაიას ხელმძღვანელობით შექმნილია მიწისმწოვები „ახალი კოლხიდა“, რომლებიც უკვე მუშაობენ შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში, თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობაზე. ქარხნის კოლექტივი ამჟამად ამუშავებს პატარა მოცულობის მიწისმწოვების პროექტს. ისინი გამოყენებულ იქნება წვრილი სარწყავი ქსელის გასაწმენდად შლამისაგან. პროექტის შედგენაში გარდა ინჟინერ-ტექნიკოსებისა, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ხარატები რ. მიხაილოვი, ვ. გაგუა, ზეინკლები პ. გოგოლაძე, ნ. ზავოდნევი, მექანა�ები გ. სანიკიძე, ს. ბრატკო და სხვები.

იანვრის პირველი ათეულიური ქარხანამ მორიგი საწარმოო გამარჯვებით აღნიშნა — თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლებს გაუგზავნა 2 მიწისმწოვი მანქანა.

მეავტომობილეები ახალ გინებაში

ჟუთაისი. (საკ. კორ.). 10 იანვარს საექსპლოატაციოდ გადაეცა ორი რვაბინიანი სახლი და ერთი ორსართულიანი საერთო საცხოვრებელი ავტოქარხნის ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის.

ახალი ბინები მიიღეს მოწინავე ავტომშენებლებმა ინჟინერმა გ. გველესიანმა, ოსტატმა ბ. ახობაძეს, ზეინკალმა გ. ცაგარეიშვილმა და სხვებმა.

ინდოეთის დელეგაცია საქართველოში

ხუთ დღეს სტუმრად იყო საქართველოში ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის ინდოეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს დოქტორი ტ. ს. კუმარაპა.

საქართველოში ყოფნის დროს დელეგაციის წევრები გაეცნენ ქართველი ხალხის მშვიდობიან შრომასა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის წარმატებებს. დელეგაციის წევრები ეწვივნენ თბილისის სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატს, ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს, დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი და საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი.

დელეგაცია გაემგზავრა ქობულეთის რაიონში, სადაც მას აინტერესებდა გასცნობოდა სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა ცხოვრებასა და მუშაობას. ქალაქ გორში ინდოეთის ხალხის წარმომადგენლებმა ინახულეს ისტორიული სახლი, რომელშიც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა ი. ბ. სტალინმა.

თბილისის რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის საკონცერტო დარბაზში მოეწყო ინდოეთის დელეგაციის წევრთა შეხვედრა საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობასთან. შეხვედრას დაესწრნენ თბილისის საწარმოთა შუამდგომლეობენი, წარმოების მოწინავენი, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრები და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მუშაკები.

კრების პრეზიდიუმში არიან მშვიდობის დაცვის საკავშირო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. კოტოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. გოგუაძე, ბოტები გ. ლეონიძე და ი. გრიშაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ვაჩნაძე და სხვები.

ინდოეთის დელეგაციის გამოჩენას დარბაზში დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

კრება გახსნა მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა უ. ჯიფარიძემ.

პირველმა სიტყვა წარმოთქვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრმა, ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის დელეგატმა ნ. ჯავახიშვილმა-კომახიძემ, რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა კონგრესის მუშაობით მიღებული შთაბეჭდილებანი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ინდოეთის დელეგაციის მეთაურის, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ცნობილი მოღვაწის დოქტორ ტ. ს. კუმარაპას გამოსვლას. გამოხატა რა დელეგაციის წევრთა აზრი და გრძნობები, ტ. ს. კუმარაპამ თქვა, რომ იგი ბედნიერია საქართველოს ნახვით, სადაც დაიბადა ხალხთა უდიდესი ბელადი ი. ბ. სტალინი, იმით, რომ გაეცნო საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს. ყველგან, სადაც კი ჩვენ მოგვიხდა ყოფნა მოსკოვსა თუ საქართველოში, ჩვენ დავინახეთ, თქვა ტ. ს. კუმარაპამ, თუ საბჭოთა ადამიანები საქმით როგორ განამტკიცებენ მშვიდობას.

საბჭოთა სახელმწიფო თავისი დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით თავისი არსებობის პირველი დღიდანვე გულწრფელად ახორციელებდა მშვიდობის პოლიტიკას. ამ პოლიტიკას მხარს უჭერს კეთილი ნების ყველა ადამიანი. საბჭოთა ქვეყანა, ამბობს ორატორი, ის შუქურაა, რომელიც ბარწყინვალე მომავლის გზას უნათებს ყველა ხალხს, რომელნიც იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის.

დოქტორმა კუმარაპამ აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებმა ნახეს, თუ რა დიდი სიმპათიით, კეთილი სურვილებით ეპყრობიან საბჭოთა ადამიანები ინდოელ ხალხს, და თქვა, რომ ინდოეთის დელეგაციის მიერ საბჭოთა კავშირის ნახვა ხელს შეუწყობს ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის [illegible] ურთიერთობას, გაუმტკიცებს, გაასახურს გაცვლას მშვიდობიან განმტკიცების საქმეს.

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა პროფესორმა ვ. გულისაშვილმა ილაპარაკა მშვიდობისადმი საბჭოთა ადამიანების ურყევ მისწრაფებაზე, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაზე, ქართველი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაზე, ქართველი ხალხისა, რომელსაც ღირსეული წვლილი შეაქვს მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმის დიად ამოცანათა განხორციელებაში.

დიდი ყურადღებით მოისმინეს ინდოეთის დელეგაციის წევრის — დიასახლის დილჯიტი პრატამ სინგის სიტყვა.

— მე, უბრალო ინდოელმა ქალმა, — თქვა მან, — გავიგე, რომ ახალი მსოფლიო ომის წარმოშობის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი გაერთიანდება მშვიდობისათვის ბრძოლაში. მოწოდებით მშვიდობის პაქტის დადების შესახებ დავდიოდი სახლიდან სახლში, ქალაქიდან ქალაქში და ამნაირად შევაგროვე 60 ათასი ხელმოწერა. დღევანდელი შეხვედრა საბჭოთა ადამიანებთან, რომლებიც მშვიდობის ყველაზე გულწრფელი და აქტიური მომხრენი არიან, კიდევ უფრო მეტად მარწმუნებს მშვიდობის საქმის გამარჯვებაში.

ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი მექვაბე ი. ჭუმბურძე ამბობს, რომ საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებებს და მზად არიან სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომით განამტკიცონ მშვიდობის საქმე.

მკაფიო სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის სრულიად ინდოეთის საბჭოს გენერალურმა მდივანმა რომეშ ჩანდრამ, რომელმაც ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვის ინდოელი ხალხი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის. თავის გამოსვლაში ჩანდრა შეეხო იმ საშიშროებას, რომელსაც უმზადებს ამერიკის იმპერიალიზმი აზიის ხალხთა ეროვნულ სუვერენიტეტს.

— ჩაგრული ხალხები, — თქვა მან, — იმედით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის საიმედო ბურჯს. მშვიდობის მომხრეებს ინდოეთში აღფრთოვანებს საბჭოთა კავშირის მაგალითი — იმ ქვეყნის მაგალითი, რომელიც დაუცხრომლად და თანმიმდევრულად იცავს მშვიდობის საქმეს.

— ამერიკელი პროპაგანდისტები, — განაცხადა შემდეგ რომეშ ჩანდრამ, — ავრცელებენ ხმებს საბჭოთა კავშირის ვითომდა აგრესიული გეგმების შესახებ. ჩვენ დავრწმუნდით ამ ხმების სიყალბეში, იმაში, რომ მათ საერთო არა აქვთ რა ჭეშმარიტებასთან. ჩვენ ვნახეთ საბჭოთა ადამიანები მუშაობის დროს, შინ, დასვენების საათებში, და იმ დასკვნამდე მივედით, რომ მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ ესწრაფვის მშვიდობას. რომეშ ჩანდრა თავის გამოსვლას ამთავრებს ინდოეთის საზოგადო მოღვაწის საიფუდინ კიტჩლუს სიტყვებით, რომლებიც მან თქვა მისთვის საერთაშორისო სტალინური პრემიის გადაცემის დროს: „...დედამიწაზე ვერაგითარი ძალა ვერ შეძლებს აიძულოს ინდოელი ხალხი პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიიღოს მონაწილეობა რაიმე ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ!“.

დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა რომეშ ჩანდრას, როცა მან ჯანმრთელობა უსურვა დიდ სტალინს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის მედროშეს.

სიტყვა წარმოთქვა მშვიდობის დაცვის საკავშირო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. კოტოვმა.

მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკურმა კომიტეტმა სტუმართა პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო თბილისის საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ინდოეთის დელეგაცია სტალინგრადს გაემგზავრა. (საქდესი).

შრომისა და ბრძოლის სიმღერები

ქართულმა საბჭოთა პოეზიამ განვითარების მეტად რთული და საინტერესო გზა განვლო. ლიტერატურის ფრონტზე შეურიგებელ ბრძოლაში გამოიჭედა და განმტკიცდა მისი ძირითადი კადრები. მათ შორის ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მოწინავე საბჭოთა პოეტს ალიო მირცხულავას (მაშაშვილი).

ა. მირცხულავამ თავისი პირველი ლექსებიდანვე მისი შემოქმედების საგნად ახალი, საბჭოთა ცხოვრების ასახვა გაიხადა და ამ დიდ საქმეს მიუძღვნა საკუთარი გულის მგზნებარება. ამაზე მეტყველებს პოეტის განვლილი გზა, ის ლექსები, რომლებიც შეუტანია ავტორს სახელგამის მიერ ახლახან გამოცემული რჩეული ლექსების წიგნში. *)

ა. მირცხულავას პოეზიის იდეური და თემატური არე ღრმა და ვრცელია. მისი გამოსახვის პოეტური ხერხები მრავალფეროვანია, ენა დახვეწილი და ხატოვანი. მის მიერ შექმნილი პოეტური სახეები კონკრეტული, ცხოველი და მიმიზიდველია. პოეტურ სახეთა და განცდათა ჰორიზონტი მისი ლექსების თემატიკასავით ფართო და მრავალფეროვანია. ყველაფერი ის, რაც აუცილებელი და ნიშნეულია ჭეშმარიტი პოეტისათვის, — ბუნებრივი და ორგანულია ა. მირცხულავასათვის. ამ პოეტური თვისების ნათელი საღებავებითა და მკაფიოდ გამოკვეთილი სახეებით არის გამდიდრებული ლექსები სამშობლოსა და ბელადზე, სამამულო ომსა და სიყვარულზე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სამშობლო და ბელადი — აი ა. მირცხულავას პოეზიის ძირითადი თემა. როდესაც პოეტი ქმნის სიმღერას შმობლიურ საქართველოზე, იგი სოციალისტურ სამშობლოს და ხალხთა ბრძენ ბელადს უმღერის.

პოეტის ფანტაზია ხალასი და მდიდარია, როცა ის ბრწყინვალედ აქანდაკებს მხატვრულ სახეებს იმ ადგილისა და გარემოს შესახებ, სადაც დაიბადა ბელადი. ნაწარმოებს — „დაბადება“ — დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. ეს ლექსი ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ქმნილებაა. კითხულობ მას და ცხადად გრძნობ იმ გარემოსა და სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას, რომლის დროსაც დაიბადა ბელადი. ლექსში ნათლად ხედავთ თვითმპყრობელობისაგან დაბეჩავებული ადამიანების იმდროინდელი ცხოვრების მძაფრ სურათებს, ხედავთ მშობლების უკეთილშობილეს სახეებს, გრძნობთ მათს სპეტაკ, ღრმაადამიანურ განცდებს:

„და წამოდგა მაშინ მამა,
თქვა: — მეც კაცი მქვია სოფლად,
მეც კაცურად ქუდი მხურავს
ხალხში, სახლში და მეზობლად.
მეც ვწერივარ ქვეყანაში,
არ მიგულვოთ აწი ობლად,
ღიღს მერცხალი მომევლინა
გაზაფხულის მახარობლად“.

ამ გაზაფხულის ერთ-ერთი ულამაზესი და უმშვენიერესი სიმღერაა „ჰიმნი სამშობლოს“. შემთხვევითი როდია, რომ ეს ნიჭიერი ქმნილება ქართველი ხალხის გულსა და სულს ღრმად ჩასწვდა და იგი გადაიქცა სიმღერად სამშობლოსა და ბელადზე. ამ ლექსს არასოდეს არ მოაკლდება ხალხის სიყვარული და სითბო, რადგან მასში დიდი უშუალობით არის ასახული ქართველი ხალხის სიყვარული მშობლიური ბელადისადმი.

რამდენად უბრალო, სადა და ძარღვიანი ლექსია „ქანდაკება მცხეთაში“, იმდენად მაღალიდეურად და მაღალმხატვრულად არის მასში გამოკვეთილი დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ნათელი სახეები და მათი მეგობრობა. როდესაც ღრმად ითვისებ ამ ლექსის იდეას, გრძნობ პოეტის ძლიერ ნიჭს, რომელმაც უდიდესი ძალით გადმოგვცა ლენინ — სტალინის პარტიის უძლეველობა, ხალხთა მეგობრობის ურღვევობა.

ლექსი „საზეიმო“ იმ პოეტურ ნაწარმოებთა რკალს მიეკუთვნება, რომლებშიც მაღალმხატვრულად არის გამოსახული დიდი სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ ლექსისათვის დამახასიათებელი პათოსი და სიღრმე ა. მირცხულავას პოეზიის ნიშანდობლივი თვისებაა. ამ თვისების ორგანულ გამოხატულებას წარმოადგენს ლექსი: „საქართველო — ბრძენის დედა“. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული პოეტი ბელადის შესახებ ამბობს:

„ყველგან ისმის გამარჯვება,
ყველგან მისი ჯარებია,
სიცოცხლე და სიყვარული
ქვეყნად დაუმყარებია“.

უაღრესად მიმზიდველი, მრავალფეროვანი და ოსტატურად შეკრული ლექსია „მეგობრები“. ამ ლექსის იდეა, მისი სიუჟეტი და შინაარსი იმდენად მართალი, რეალური და ბუნებრივია, რომ მას მკითხველი აღტაცებით ითვისებს და საკუთარი ოცნებისა და ფიქრების ნაწილად ხდის. მასში უდიდესი ძალით არის გადმოცემული ხალხისა და ბელადის მონოლითური კავშირი.

ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის ტრიუმფის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ლექსი: „გემი „იოსებ სტალინი“.

„ლენინის არხში გავიდა გემი,
დროშების ფრთებს შლის კიდიდან-კიდით,
ჩქეფს ვოლგა-დონი ტალღების ცემით,
გემი „სტალინი“ ამაყად მიდის.
ზვირთებს მიაპობს მძლავრი და მშვიდი,
მიდის, მიჰყვება მთები და ჭალა,
კომუნიზმისკენ გიგანტი მიდის,
ბორბალს აბრუნებს ხუთი ზღვის ძალა.
მას თან მიჰყვება თექვსმეტი გემი —
ძლევამოსილი ქვეყანა ჩემი“.

როცა პოეტის შემოქმედების გზას თვალს გადაავლებთ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყროს ლექსებმა, რომლებიც იწერებოდა ინდუსტრიალიზაციის განვითარების თემებზე. მკითხველის მეხსიერებიდან არასოდეს არ ამოიშლება ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც შექმნა ა. მირცხულავას ადრინდელმა ლექსმა „დამკვრელი ბრიგადები“.

პოეტის გული ფართო და მგრძნობიარეა. იგი ისე ახლოს განიცდის ჩინელი მუშისა და გლეხის ბედს, როგორც საკუთარი გულის ფეთქვას. ჩინელი ხალხის წარსულ ცხოვრებას ნათლად გამოხატავს ლექსი „რიქშა“. ჯერ კიდევ 1927 წელს პოეტი, აღწერდა რა ჩინელი ხალხის უსასტიკეს პირობებს იაპონელი მილიტარისტებისა და ჩინელი მემამულეების უღელქვეშ, მოუწოდებდა ჩინელ რიქშას:

„შენც წამოდექი, ჩინელო ძმაო,
მოჰკიდე ხელი ხმალს და იარაღს...
. . . . . .
დაადგე ეტლი, დაადგე გზაზე,
ძმების ღრიალი ხომ გეყურება?
ნუ შეგაშინებს მტრების სიბრაზე,
გწყურდეს მათი განადგურება“.

დღეს ჩინელი მშრომელი სოციალიზმის გამარჯვებისათვის აქტიური მებრძოლია.

ა. მირცხულავას რჩეული ლექსების წიგნის ერთ-ერთი ძირითადი და მრავალფეროვანი განყოფილებაა „ლექსი ომის დროს“. როცა ამ ლექსებს ვკითხულობთ, ვრწმუნდებით, თუ რა დიდი ნაყოფიერებით უმუშავნია პოეტს სამამულო ომის დროს.

ა. მირცხულავას ამ პერიოდის ლექსების მთავარი პატრიოტული თვისება იმაშია, რომ ავტორმა მათში უდიდესი პოეტური ძალით გამოხატა ქართველი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, მისი მებრძოლი სული და მტერზე გამარჯვების ის ღრმა რწმენა, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერისათვის, რომელთა ბრძოლასა და შრომას გამარჯვებისაკენ წარმართავდნენ ლენინ — სტალინის პარტია, დიდი მხედართმთავარი ამხანაგი სტალინი.

ძლიერია პოეტის ლირიკული ლექსები. მისი ლირიკა განყენებული როდია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. პოეტი თავის ლირიკულ ლექსებს დიდ საზოგადოებრივ მორალურ დანიშნულებას ანიჭებს. ძირითადად ასეთივე საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა ის მინიატურული ლექსები, რომლებიც პოეტს მოუთავსებია განყოფილებაში „სიმღერა — სიყვარული“. მაგრამ ზოგიერთი მათგანი მიზანს ვერ ხვდება, ზოგიერთიც მდარეა და უსაგნო.

პოეტს წიგნში შეუტანია ორი პოემა: „მე და ბარათაშვილი“ და „აი, ადამიანი!“. ამ პოემებმა თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მკითხველთა ფართო მასებში. ჩვენი კრიტიკის მიერ ადრევე იყო აღნიშნული, რომ პოემაში „მე და ბარათაშვილი“ პოეტი ვერ დგას სწორ პოზიციაზე. მიუხედავად ერთგვარი შესწორებებისა, რომლებიც შეუტანია ავტორს პოემაში, მაინც გამეორებულია მცდარი შეხედულებანი როგორც ნ. ბარათაშვილზე, ისე ზოგიერთ თანამედროვე პოეტზე. პოემაში გამოსჭვივის არასწორი, ქედმალური დამოკიდებულება ჩვენი კლასიკოსებისადმი.

რაც შეეხება პოემა „აი ადამიანს!“, მას არათუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის, არამედ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ეს პოემა სავსებით და მთლიანად უპასუხებს იმ მოთხოვნილებას და ამოცანას, რომელიც დაუსახა ჩვენს ლიტერატურას პარტიამ, რომ მწერლობამ სატირულ ფორმაში გაამათრახოს ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები, უარყოფითი ადამიანები, დაუნდობლად ამხილოს მანკიერება, ნაკლოვანებანი და ის ავადმყოფური მოვლენები, რომლებსაც ზოგჯერ ვხვდებით ჩვენს საზოგადოებაში. ამ ამოცანას ორგანულად ეხმიანება ხსენებული პოემა. ა. მირცხულავა მკვეთრად გვიხატავს უარყოფით ტიპს, დამპალს, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ზედმეტ ადამიანს. პოემა „აი ადამიანი!“ მართალი და აქტუალური ნაწარმოებია.

ა. მირცხულავა კომუნისტი პოეტია. მისი შემოქმედება გაჟღენთილია პარტიული, მებრძოლი სულისკვეთებით. მკითხველი მოელის პოეტისაგან კომუნიზმის დიადი მშენებლობის ამსახველ ახალ ნაწარმოებებს.

ს. ფეფრავა.

*) ალიო მირცხულავა (მაშაშვილი). რჩეული. სახელგამი. გამომცემლობა. თბილისი. 1952.

ვარშავის გაზეთები პოლონელ მსახიობთა დასკვნითი კონცერტის შესახებ მოსკოვში

ვარშავა, 13 იანვარი. (საკდესი). დღეს პოლონეთის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ცნობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა დასკვნითი კონცერტის შესახებ მოსკოვში, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა მთავრობის წევრები ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ კონცერტზე ამხანაგ სტალინის და მის უახლოეს თანამებრძოლთა დასწრებამ უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია პოლონელ მსახიობებში.

მოსკოვში სტუმრად მყოფ პოლონელ მსახიობებთან ერთად, აღნიშნავენ გაზეთები, უდიდეს სიხარულს იზიარებს მთელი პოლონელი ხალხი, რომელიც დიდ მადლობას უძღვნის მოძმე საბჭოთა ხალხს მეგობრობის მხურვალე გრძნობებისათვის და პოლონელი ხალხის კულტურულ მიღწევათა მაღალი შეფასებისათვის.

პრაღაში გაიხსნა სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლების საერთაშორისო კონფერენცია

პრაღა, 13 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ დღეს პრაღაში გაიხსნა სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა უმაღლესი დაწესებულებების წარმომადგენლების საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერ მუშაკთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სრულიად საკავშირო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი მ. ა. ოლშანსკი, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციები.

კონფერენცია გახსნა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ა. კლეჩკამ, რომელიც შეეხო კონფერენციის ამოცანებს და აღნიშნა, რომ იგი განიხილავს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა უმნიშვნელოვანეს პრობლემებს და მშვიდობის ბანაკის ქვეყნების სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლობის შესაძლებლობებს. კონფერენციამ ხელი უნდა შეუწყოს, თქვა ა. კლეჩკამ, საბჭოთა სოფლის მეურნეობის მეცნიერების მონაპოვართა კიდევ უფრო ფართოდ გამოყენებას სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში.

შემდეგ ა. კლეჩკამ გამოაქვეყნა კონფერენციის მუშაობის პროგრამა. მუშაობა იწარმოებს ოთხ სექციაში: მემცენარეობის, მეცხოველეობის, მექანიზაციისა და ეკონომიკის სექციებში. კონფერენციის სექციები თავიანთი ამოცანების განხილვისას გაითვალისწინებენ იმას, რომ საჭიროა უშუალოდ გამოყენებულ იქნას სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიღწევები.

კონფერენციის პირველი სხდომის დასასრულს აირჩიეს პრეზიდიუმი და გაანაწილეს დელეგატები სექციების მიხედვით. კონფერენციის მუშაობა სამ დღეს გასტანს.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩინეთსა და რუმინეთს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

პეკინი, 10 იანვარი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ პეკინში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჩინეთსა სახალხო რესპუბლიკასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე

პარიზი, 11 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს მიერ მილანიდან გადმოცემული ცნობით, დღეს დაიხურა იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობა. ყრილობის დღევანდელ სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა პარტიის გენერალურმა მდივანმა ნენნი. ყრილობაზე მიიღეს პოლიტიკური რეზოლუცია და აირჩიეს პარტიის ახალი ხელმძღვანელობა.

მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიზეზის სხდომა

ბერლინი, 13 იანვარი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტის სხდომა.

კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა ვ. ფრიდრიხმა მოხსენება გააკეთა ხალხთა მშვიდობის დაცვის ვენის კონგრესის გადაწყვეტილებათა შესახებ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ვილმანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა ხალხის ფართო ფენებში.

სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა კომიტეტი გარდაიქმნას მშვიდობისათვის მებრძოლ გერმანელთა საბჭოდ და არჩეულ იქნა საბჭოს პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან: პროფესორი ვ. ფრიდრიხი, პოეტი ი. ბეხერი, სახალხო პალატის დეპუტატი ფ. დალემი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის მოადგილე ე. გოლდენბაუმი, ბერლინის ჰუმბოლტის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი ვ. ნოიე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ო. ნუშკე, მწერალი ანა ზეგერსი და სხვები.

შვეიცარიის რიკსდაგის სესიაზე

სტოკჰოლმი, 12 იანვარი. (საკდესი). დღეს გაიხსნა შვეიცარიის რიკსდაგის სესია. მეორე პალატა 1952 წლის სექტემბრის არჩევნების შემდეგ წარმოდგენილია ახალი შემადგენლობით.

რიკსდაგის სესიის გახსნის გამო წარმოთქმულ სეფე-სიტყვაში შვეიცარიის მეფემ, დაახასიათა რა შვეიცარიის ეკონომიკური განვითარება, კერძოდ, თქვა, რომ „ყოველგვარი კონიუნქტურა სამეურნეო ცხოვრებაში შეწყდა“ და „შვეიცარიის სამეურნეო ცხოვრების საკონკურენტო უნარიანობა მსოფლიო ბაზარზე შენელდა“. მომავალში, ნათქვამია სეფე-სიტყვაში, შეიძლება წამოიჭრას სამუშაოთა უზრუნველყოფის შემცირების რისკი.

შვეიცარიის მთავრობამ რიკსდაგის სესიის განსახილველად წარადგინა 1953-54 საბიუჯეტო წლის ახალი ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი განსაზღვრულია 8.167.775.100 კრონის რაოდენობით (წინა ბიუჯეტი უდრიდა 7.865 მილიონ კრონას).

ინგლისური გაზეთები ფრანკისტული ესპანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 12 იანვარი. (საკდესი). გაზეთ „ობსერვერის“ სპეციალური კორესპონდენტი წერს:

„თუმცა შეერთებული შტატებისა და ესპანეთის ხელშეკრულების პირობები ცნობილი გახდება მხოლოდ მისი ხელმოწერის შემდეგ, ამასთან გამორიცხული არ არის საიდუმლო მუხლების არსებობის შესაძლებლობა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი გახდა, რომ პაქტი მნიშვნელოვნად უფრო ყოვლისმომცველი იქნება, ვიდრე თავდაპირველად ფიქრობდნენ. რამდენადაც ცნობილია, ამერიკელებს ექნებათ სამი საკუთარი დიდი სამხედრო-საჰაერო ბაზა ლეონის, მადრიდისა და სევილიის რაიონებში, აგრეთვე უფლება ექნებათ ისარგებლონ ეს ეპანეთის ყველა აეროდრომითა და სამხედრო-საზღვაო ბაზით კარტახენაში, კადისში, ბალეარის კუნძულებზე და კანარის კუნძულებზე, გარდა იმისა, რომ ისარგებლებენ ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტიკის ოკეანეზე ესპანეთის სხვა ნავსადგურებში ღუზაზე დგომის უფლებით. ფრანკო, — წერს გაზეთი, — მოითხოვს ესპანეთის არმიის ხელახლა შეიარაღებასა და მოდერნიზაციას, გარდა ეკონომიკური დახმარების გაწევისა...“.

„ობსერვერის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ შეთანხმება ექსტერიტორიალობაზე (ადგილობრივ სასამართლოებში ამერიკელთა გაუსამართლებლობა. — რედ.) და სხვ. „გასაოცრად იოლად იქნა მიღწეული“.

ინგლისის სამხედრო გაზის მშენებლობა ბელგიაში

ბრიუსელი, 13 იანვარი. (საკდესი). ბელგიის პრესას მოჰყავს ლონდონში გამოქვეყნებული კომუნიკე ბელგიის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის მშენებლობის შესახებ ინგლისისა და ბელგიის მთავრობებს შორის ხელშეკრულების დადებაზე. ეს ხელშეკრულება ფაქტიურად ახდენს ანტვერპენის მახლობლად ინგლისის სამხედრო ბაზის მშენებლობის ლეგალიზაციას.

ხელშეკრულების ტექსტში ნათქვამია, რომ ბელგიის მთავრობას უფლება ეძლევა, თუ ამას იგი მოისურვებს, შექმნას ბელგიის ასეთივე ბაზა დიდ ბრიტანეთში.

ირანის მეჯლისში

თეირანი, 13 იანვარი. (საკდესი). თეირანის რადიოს ცნობით, დღეს მეჯლისის მორიგ სხდომაზე მეორე წაკითხვის შემდეგ მოწონებულ იქნა კანონპროექტი მოსადიკის მთავრობის სასგანგებო რწმუნებათა ერთი წლის ვადით განგრძობის შესახებ.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 13 იანვარი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შენაერთები ყველა ფრონტზე ეწეოდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 2 თვითმფრინავი, რომლებიც მხეცურად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

ლისინმანელთა სამხედრო ტრანსპორტის კატასტროფა

შანხაი, 10 იანვარი. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, გუშინ პუსანის მახლობლად ჩაიძირა ლისინმანელთა სამხედრო ტრანსპორტი. დაიღუპა 220-ზე მეტი კაცი.

იაპონიის რეაქციონერები აპირებენ შეცვალონ იაპონიის კონსტიტუცია

პეკინი, 12 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტო, იმოწმებს რა ტოკიოდან მიღებულ ცნობას, იუწყება, რომ ამჟამად იაპონიის პარლამენტში გაჩაღებულია ინტრიგები, რომელთა მიზანია იაპონიის კონსტიტუციის გადასინჯვა, რათა ნებადართულ იქნას ხელახალი შეიარაღების სწრაფი ტემპით განხორციელება.

იოსიდას ლიბერალურმა პარტიამ დაავალა მთელ რიგ თავის ლიდერებს, მათ შორის ძირო ხოსიძიმას და ტადაო კურაისის, რომლებიც იაპონიის წარმომადგენლებად იყვნენ სანფრანცისკოს „სამშვიდობო კონფერენციაზე“, დაიყოლიონ პარლამენტის დეპუტატები იაპონიის „პროგრესული“ და მემარჯვენე სოციალისტური პარტიებისაგან, რომ შეიქმნას კონსტიტუციის შემსწავლელი და გადამსინჯავი ეგრეთწოდებული პარლამენტის დეპუტატთა ლიგა. ისინი ცდილობენ შეაკოწიწონ პარლამენტში უმეტესობა ხმების ორი მესამედის რაოდენობით, კონსტიტუციის ნაკარაუდევი გადასინჯვისათვის. იოსიდა ამავე მიზნით ცდილობს დაუკავშირდეს მამორუ სიგემიცუს და „პროგრესული პარტიის“ სხვა წევრებს.

ამავე დროს იოსიდას მთავრობამ ფარულად შეიმუშავა იძულებასა და მოტყუებაზე დამყარებული კენჭისყრის სისტემის პრინციპები, რომლებიც შემოღებულ იქნება მრჩეველთა პალატის მომავალ არჩევნებში.

ამერიკელები შეურაცხყოფენ იაპონელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს

პეკინი, 13 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ ამერიკელებმა ფუძიამის მთის მწვერვალზე, რომელიც იაპონელებს წმიდა მთად მიაჩნიათ, ააგეს დიდი სამხედრო რადიოსადგური, ხოლო მთის ძირას — აეროდრომი და ყაზარმები 30 ათასი კაცისთვის. ამერიკელთა ყაზარმების გარშემო გაჩნდა საროსკიპოები, კაბარეები და საეჭვო ხასიათის სხვა დაწესებულებანი.

ამ წმიდა ადგილის შებილწვამ ადგილობრივ მცხოვრებთა გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

ინგლისელი მაღთუსიანელის კაცთმოძულე ბოდვა

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდესი). ინგლისის ჟურნალ „ფორტ-ნაიტლში“ გამოქვეყნებულია ჰიუ პოლის სტატია „სურსათი და მოსახლეობა“. სტატიის ავტორს „მეცნიერობის“ პრეტენზია აქვს: იგი გამოცდებს იბარებს ჯანმრთელობის დაცვის დარგში ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტთაგან და კითხულობს ლექციებს კურსს იმავე საგანში ბირმინჰამის უნივერსიტეტში. მაგრამ მისი სტატიის შინაარსი იმას მოწმობს, რომ ჰიუ პოლ მეტად არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ნამდვილი მეცნიერის წოდებაზე, ვიდრე გენერალ რიჯუეის. პირველიც და მეორეც აშკარა კაცთმოძულენი არიან, რომელნიც მზად არიან მოსპონ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარი.

„მე-20 საუკუნის დაწყებამდე, — წერს ეს ბნელეთისმოიქმული „მეცნიერი“, — სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა, მუდმივი ომების, ავადყოფობის, შავი ჭირის ეპიდემიისა და შიმშილის გამო, გონივრულ დაბალ დონეზე რჩებოდა“. ავტორი აშკარა მწუხარებით აცხადებს, რომ „ყოველი ალგამეულია და მას ეფექტიანი კონტროლი ეწევა... ხოლერა გაქრა, ტიფი დაძლიეს, ხოლო მუცლის ტიფი მასობრივად უკვე ვეღარ ვრცელდება“. ეს, ჰიუ პოლის აზრით, კაცობრიობის ყველა უბედურების პირველი მიზეზია, იწვევს „მჭიდროდ დასახლებულობას“ და სურსათის ნაკლებობას მთელ მსოფლიოში.

იგი აშკარა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „ინდოეთსა და პაკისტანში ნახევარი მილიონი კაცი კვდება ყოველწლიურად ტუბერკულოზით და 50 ათასი კაცი — ყვავილით. მარტო ბენგალიაში 1941 წელს ხოლერითა და დიზენტერიით მოკვდა 100.000 კაცი. 300 მილიონი კაცი მთელ მსოფლიოში დაავადებულია მალარიით; ამ ავადყოფობით ყოველწლიურად კვდება 3 მილიონი კაცი, უმეტესწილად აზიის მცხოვრენი“.

მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი გაცოფებული მალთუსიანელის თვალსაზრისით, და იგი გადაჭრით აცხადებს, რომ „მოსახლეობის ზრდა დაყვანილ უნდა იქნას ნულამდე“ „მოსახლეობის ზრდაზე კონტროლის დაწესებით“. „დაბადებაზე კონტროლის დაწესების თეორიის მომხრენი, — წერს ეს კაცთმოძულე, — აცხადებენ, რომ ჩამორჩენილმა ხალხებმა უნდა აირჩიონ ან დაბადებაზე კონტროლის დაწესება ან სიკვდილი თუ შიმშილი. ამაზე შეიძლება ეუპასუხოთ, რომ მათ მართლაც აირჩიეს: მათ აირჩიეს სიკვდილი“.

კოლონიზატორი „მეცნიერი“ აშკარად ჩქარობს დასკვნის გამოტანას. დამოკიდებული და კოლონიური ქვეყნების ხალხები სხვა არჩევანს აკეთებენ: ისინი ირჩევენ თავიანთ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც იხსნის მათ სიკვდილისა და შიმშილისაგან.

ბონელი რევანშისტები თავხედდებიან

რომი, 10 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „პაპზე სერა“ ბონიდან მიღებულ ცნობაში წერს „დასავლეთ გერმანიის ფაქტიურმა სამხედრო მინისტრმა ბლანკმა თავის კოლეგებს აცნობა, რომ მან დასავლეთელ მოკავშირეებელ ხელისუფალთ მოსთხოვა დაბრუნონ ჰიტლერული გენერალური შტაბის არქივები. ეს მოთხოვნა, როგორც ბლანკმა აღნიშნა, იმით იყო დასაბუთებული, რომ დასავლეთ გერმანიის მომავალმა გენერალურმა შტაბმა უნდა „შეისწავლოს 1939-45 წლების ომის დროს შეძენილი სტრატეგიული გამოცდილება“. ბლანკმა, — წერს გაზეთი, — განაცხადა, გენერალმა რიჯუეიმ პირობა მომცა, რომ არქივის დოკუმენტებს დაბრუნებს“.

ადენაუერი მანევრებს აკეთებს

ბერლინი, 11 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს წერს, რომ საფრანგეთში მთავრობის შეცვლა კიდევ უფრო საეჭვოს ხდის დასავლეთ სახელმწიფოებთან ბონის მთავრობის სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციას ბუნდესტაგში და აიძულებს ადენაუერს გაფაციცებით იმოქმედოს. ამ დღეებში მას საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა საფრანგეთის უმაღლეს კომისართან ფრანსუა-პონსსეთან. ამ მოლაპარაკებას უნდა მოჰყვეს მოლაპარაკება გერმანიაში ინგლისისა და ამერიკის სამხედრო კომისრებთან. დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის პრესა იუწყება, რომ გათვალისწინებულია აგრეთვე ადენაუერის შეხვედრა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბიდოსთან და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ოლენჰაუერთან, რომელმაც აგრძნობინა, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობა ყველა საჭირო ღონისძიებას იხმარს, რათა ჩაშალოს დასავლეთ გერმანიის მშრომელთა ბრძოლა ბონის მთავრობის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ.

ამერიკული გაზეთი აღიარებს

უთანხმოება ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტის ქვეყნების განაკში

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამ ენდ სანმა“ გამოაქვეყნა პარიზელი კორესპონდენტის შეკითხვის ცნობა, რომელიც აცხადებს, რომ გენერალ რიჯუეის საიდუმლო მოხსენება ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოსადმი მის განკარგულებაში არსებული შეიარაღებული ძალების საკითხზე „მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ გამოქვეყნებულიყო“.

სამხედრო პირები მთავარსარდალ რიჯუეიეი შტაბში, აღნიშნავს გაზეთი, უკმაყოფილონი არიან იმით, რომ პოლიტიკური მოღვაწეები უარს ამბობენ უჩვენონ საზოგადოებრივობას ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ნაკლოვანებათა რეალური სურათი. ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი არ აქვეყნებს ოფიციალურ ცნობებს თავისი შეიარაღებული ძალების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ლორდმა ისმეიმ განაცხადა: „ნატოს (ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი. — რედ.) სხვადასხვა ქვეყნის დივიზიები ერთმანეთისაგან ისე განირჩევიან, როგორც გოგრა ანანასისაგან“.

ამერიკელთა მოთხოვნით

ათენი, 12 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „ავგი“ იუწყება, რომ საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა შეწყდეს ყოველგვარი მოქმედება, რომლის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარება თუ გაფართოება. გაცემულია განკარგულება შეწყდეს მოლაპარაკება რუმინეთთან სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ, მიუხედავად დიდი ინტერესისა, რასაც საბერძნეთის სავაჭრო წრეები იჩენენ. ეს გადაწყვეტილება, წერს გაზეთი, მიღებულია ამერიკელთა მოთხოვნით.

შვეიცარიის ჭანკერის ავარია

სტოკჰოლმი, 10 იანვარი. (საკდესი). სტოკჰოლმის რადიოს ცნობით, 8 იანვარს აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში შტორმის დროს შუაზე გადატყდა შვედური 15.700 ტონა წყალწყვის ტანკერი „ავანტი“. ტანკერზე 40 კაცი იმყოფებოდა.

როგორც იაპონიის მაშველი სამსახური იუწყება, ამ კატასტროფის შედეგად დაიღუპა 8 კაცი, მათ შორის ტანკერის კაპიტანი.

ნორჩ ჟურნალისტთა რესპუბლიკური შეკრება

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დიდ სალექციო დარბაზში ამ დღეებში თავიანთ პირველ შეკრებაზე თავი მოიყარეს რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ნორჩმა ტურისტებმა და მოგზაურებმა. ფოიეში გამოფენილი იყო მათ მიერ მოგზაურობისა და ტურისტული ლაშქრობის დროს შეკრებილი მრავალფეროვანი მასალები — სავლე ფურცლები, ხელნაწერი ჟურნალები, ჩანახატები, ფოტოსურათები, ჰერბარიუმები, მინერალთა კოლექციები და სხვ.

შეკრება, რომელიც მოაწყო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურმა საექსკურსიო-ტურისტულმა სადგურმა, შესავალი სიტყვით გახსნა თბილისელმა მოსწავლე გოგონამ ც. ინწკირველმა. მოხსენებით „მშობლიურ მხარეში მოგზაურობა, როგორც კომუნისტური აღზრდის საუკეთესო საშუალება“ გამოვიდა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ს. რიგვავა.

შეკრების მონაწილეთ საინტერესო შთაბეჭდილებები გაუზიარეს გორელ პიონერ-მოგზაურთა და ტურისტთა წარმომადგენელმა ც. კილაძემ, ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული ტურიზმისა და ალპინიზმის სექციის ნორჩმა ტურისტებმა ვ. ტუსკიამ და ზ. კოპალიანმა, ი. სიხარულიძემ (სუხუმი), გ. რობაქიძემ (ქუთაისი), ლ. როყვამ (ფოთი) და სხვა ნორჩმა მოგზაურებმა და ტურისტებმა.

შეკრების მონაწილეთ ესაუბრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი გ. ძოწენიძე. მისი საუბრის თემა იყო „სახოგადოებრივად სასარგებლო მუშაობა მოგზაურობის დროს“.

შეკრების მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორის მ. ერისთავის ინფორმაცია 1953 წლისათვის სადგურის მიერ ნორჩ მოგზაურთა დასახმარებლად დასახული გეგმებისა და ღონისძიებების შესახებ.

შეკრების შემდეგ თბილისში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან, სამრეწველო ცენტრებიდან და რაიონებიდან ჩამოსულმა ნორჩმა ტურისტებმა დათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნობანი, მოაწყეს ექსკურსიები სტალინური მარშრუტით, გაეცნენ პიონერთა სასახლის კაბინეტების მუშაობას და იმხიარულეს ნაძვისხესთან.

„მირანგულა“ ქუთაისის თეატრში

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — გ. ჩიტაიშვილის ოთხმოქმედებიანი პიესა „მირანგულა“.

პიესა დადგა რეჟისორმა ი. კაკულიამ. მხატვრობა ეკუთვნის დ. თაყაიშვილს, მუსიკა კომპოზიტორ გ. ლორთქიფანიძეს.

სპექტაკლში მონაწილეობენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ვ. ჩხაკაძე, შ. ხაჯალია, გ. ტყაბლაძე, მსახიობები მ. გელავი, ვ. გვენცაძე, ვ. აჯარაძე, რ. გოგებაშვილი, მ. ფხაკაძე, გ. კოკელაძე, ი. ხვიჩია, ი. მიქაბერიძე, რ. ხობუა, ა. ქელბაქიანი, ა. ალანდარიშვილი, ა. ჩიქვინიძე და სხვ.

ნაღირობა ზამთარში

საქართველოს მონადირეებს წელს ზამთარში მეტად ხელსაყრელი სეზონი დაუდგათ, განსაკუთრებით გარეულ ფრინველზე ნადირობის მოყვარულთ: უამრავია კაკაბი. და გნოლი, წყალმცურავი ფრინველი, უმთავრესად ბატი და იხვი. წარმატებით ნადირობენ კურდღელსა და გარეულ ღორზე.

ამ ცოტა ხნის წინათ აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გამოჩნდა საკათისა და ხარსარაკის მრავალრიცხოვანი გუნდები. ეს გარეული ფრინველი წელს თბილი ზამთრის გამო მასობრივად დარჩა საქართველოში გამოსაზამთრებლად.

საქართველოს რადიოგადაცემათა 16 იანვრის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — გ. კილაძისა და ა. ბალანჩიკაძის სიმფონიური მრავალფეროვნება; 09.20 — კონცერტი რუსული ხალხური საკრავების ორკესტრის შესრულებით; 11.00 — „პიონერთა დაფიონი“; 12.15 — სიმხური სიმღერები და საცეკვაოები; 12.45 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები; 17.15 — გადაცემა სამწლიანი აგროზოოტექნიკური კურსების მსმენელთა დასახმარებლად (რადიოსადგურებიდან); 17.15 — უვერტიურები (თბილისის საქალაქო ქსელით); 18.15 — სონატა ვიოლონჩელოსათვის; 19.20 — პოპულარული მუსიკა; 19.45 — საუბარი თვალის სნეულებათა მკურნალობის შესახებ. **რადიოსადგურებით 1.500 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 20.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები (თბილისის საქალაქო ქსელით). 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 21.00 — ლექცია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების შემსწავლელთა დასახმარებლად; 22.20 — ლიტერატურული გადაცემა, მიძღვნილი გრიბოედოვისადმი; 23.00 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — სამშობლო; **მარჯანიშვილის სახელობის** — ვარდი ასფურცლოვანი; **გრიბოედოვის სახელობის** — ღრმა დაზვერვა (აბონემენტი 27, 28); **მუსიკალური კომედიის** — ცანის დედოფალი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჩვენი ადამიანები (აბონემენტი 49, 7 ს.); **თოჯინების** — ორი ძმა (10 ს.); **სანიტარული კულტურის** — სიცოცხლის ტყე.

დღეს კინოებში

ამირანი, სპარტაკი, ისანი — პირველი დღეები; **26 კომისრის სახელობის, თბილისი, კომკავშირელი** — ჯულბარსი; **რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, კოლხიდა** — ახალგაზრდა ქარუზო

აჩრევნებისადმი მიძღვნილი ერთსაღამიანი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტმა 12 იანვარს ... ... მიძღვნილი პირველი კონცერტი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

ამ დღეს, შესვენების დროს, ქარხნის საამწყობო საამქროში, სადაც გაიმართა სახელოვანი ესტრადა, ასობით მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსმა მოიყარა თავი.

ბელადის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა მოისმინეს კონცერტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, საქართველოს ფილარმონიისა და საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის სოლისტების — გ. გეგეჭაძის, და-ძმა კირვალიძეების, თ. ბახტაძის, ა. მიქაბერიძის, ე. წვერავასა და ლ. დევდარიანის შესრულებით. კონცერტში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა ა. ნასიძის ხელმძღვანელობით. შესრულებულ იქნა ქართულ-რუსული, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების ხალხთა სიმღერები, ნაწყვეტები სხვადასხვა ოპერებიდან.

„სპარტაკის“ პირველობა კალათბურთში

თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დამთავრდა ნორჩ კალათბურთელთა გუნდების ზონალური შეჯიბრება კალათბურთში „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობისათვის.

ჩემპიონატში მონაწილე თბილისის, როსტოვის, ბაქოსა და ერევნის გუნდები სამ დღეს ეცილებოდნენ პირველობას. საინტერესოდ მიმდინარეობდა თბილისისა და როსტოვის ჭაბუკ სპორტსმენთა კოლექტივების გადამწყვეტი ასპარეზობა, რომელიც დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 30 : 29.

ამრიგად, თბილისის ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდმა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა როსტოვის გუნდი, მესამეზე — ბაქოს სპორტსმენთა კოლექტივი.

კალათბურთელ გოგონათა გუნდებს შორისაც პირველი ადგილი დაიკავა თბილისის გუნდმა. გამარჯვებულებს საზეიმოდ გადაეცათ თასები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

ბაკურიანის მთის ფერდობებზე

ბაკურიანის სამთო-სათხილამურო და ტურისტთა ბაზები ვერ იტევენ მოთხილამურეებს, ტურისტებს, სპორტის მოყვარულებს. თოვლით გადათეთრებული მთის ფერდობები და ველები დასერილია თხილამურებით, დიდი გამოცოცხლებაა ტრამპლინებთან.

ამას წინათ აქ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სლალომისტთა ასპარეზობა, ხოლო რამდენიმე დღის წინათ დაიწყო პირველი საოლქო შეხვედრები. პარალელურად შეჯიბრებას აწყობენ თბილისისა და ქუთაისის ოლქის უძლიერესი გუნდები.

თბილისის ოლქის პირველი ჩემპიონატი გაიხსნა გასულ კვირას. მოეწყო შეჯიბრებაში მონაწილეთა პარადი და აღმის ალმართოვა. გათამაშებაში მონაწილეობენ ქ. თბილისის, ბორჯომის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენისა და სხვა რაიონების გუნდები.

პირველ დღეს გაიმართა შეხვედრები სათხილამურო ამანთრბენში 4×5 კილომეტრზე. ვაჟთა გუნდებს შორის გაიმარჯვა ბორჯომის მოთხილამურეთა პარადი და აღმის ალმართოვა. გათამაშებაში მონაწილეობენ ქ. თბილისის, ბორჯომის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენისა და სხვა რაიონების გუნდები.

პირველ დღეს გაიმართა შეხვედრები სათხილამურო ამანთრბენში 4×5 კილომეტრზე. ვაჟთა გუნდებს შორის გაიმარჯვა ბორჯომის მოთხილამურეთა კოლექტივმა, ქალთა გუნდებს შორის — ქ. თბილისის გუნდმა. შეჯიბრების მეორე დღეს მოეწყო შეხვედრები სათხილამურო გადარბენაში ქალთათვის 5 და ვაჟთათვის 10 კილომეტრზე.

თბილისის საოლქო ჩემპიონატი დამთავრდება 16 იანვრისათვის, რის შემდეგ შედგენილ იქნება ამავე ოლქის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი,